

სისხლის სამართლის სტატისტიკის

ერთიანი ანგარიში

საანგარიშო პერიოდი - 2024 წლის მაისი

შინაარსი

თავი II.	პროკურატურის სტატისტიკა	3
ნაწილი 4	სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები.....	3
4.1	დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით	3
4.2	დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით ..	3
4.3	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით	15
4.4	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.	15
ნაწილი 5	დაზარალებული პირები.....	17
5.1	დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით.....	17
5.2	დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....	19
ნაწილი 6	არასრულწლოვნები.....	26
6.1	დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ.....	26
6.2	დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....	26
6.3	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ.....	29
6.4	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.....	29
6.5	დაზარალებული არასრულწლოვნები.....	29
თავი III.	სასამართლო სტატისტიკა	34
ნაწილი 7	სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები	34
7.1	აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები	34
ნაწილი 8	პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები	37
8.1	პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა	37
8.2	არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები.....	38
8.3	საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები.....	38
ნაწილი 9	მსჯავრდებულები	39
9.1	მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით	39
9.2	არასრულწლოვანი მსჯავრდებულები	44
ნაწილი 10	დანაშაული და შეფარდებული სასჯელები	46
10.1	დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით	46
10.2	დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით	48
თავი IV.	პენიტენციური სისტემის სტატისტიკა.....	52
	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო	
ნაწილი 11	საქვეუწყებო დაწესებულების -სპეციალური პენიტენციური სამსახური	52
11.1	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები	52
11.2	არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები	58
11.3	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების დადგენილი ლიმიტები	59

11.4	მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	61
11.5	მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით.....	62
11.6	უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები	63
11.7	პენიტენციურ სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანა.....	66
11.8	პენიტენციური სისტემიდან გასვლა.....	66
11.9	პენიტენციური სისტემიდან ჯანმრთელობის/ხანდაზმულობის გამო გათავისუფლება-გადავადება	67
11.10	რესოციალიზაციის მიმდინარეობა.....	68
11.11	სამეურნეო სამუშაოებში დასაქმება.....	74
11.12	დისციპლინური სახდელები.....	76
11.13	წახალისების ფორმები.....	77
11.14	პაემნის ღონისძიებები.....	79
11.15	წარსულში ნასამართლეს ბრალდებულები და მსჯავრდებულები.....	81
11.16	დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები.....	82
11.17	შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება.....	83
11.18	ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება.....	84
11.19	პენიტენციურ სისტემაში მომხდარი დანაშაულები.....	85
11.20	დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) პენიტენციურ სისტემაში	87
11.21	გარდაცვალება.....	96
თავი V.	პრობაციის სისტემის სტატისტიკა	98
ნაწილი 12	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - პრობაციის ეროვნული სააგენტო.....	98
12.1	არაპატიმარი მსჯავრდებულები	98
12.2	არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	100
12.3	არასრულწლოვანი არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით.....	101
12.4	უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებულები.....	102
12.5	არაპატიმარი მსჯავრდებულები არასაპატიმრო სასჯელის ტიპის მიხედვით	103
12.6	არაპატიმარ მსჯავრდებულთა ახალი საქმეები.....	104
12.7	დასრულებული და შეწყვეტილი საქმეები.....	106
12.8	პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა	109
12.9	არაპატიმარ მსჯავრდებულთა შეწყალება	110
12.10	არაპატიმარ მსჯავრდებულთა ამნისტია.....	110
12.11	საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე.....	111
12.12	არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიმდინარეობა და განრიდებულთა შეფასება	112
12.13	არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმება.....	114
12.14	შინაპატიმრობა	115

თავი II. პროკურატურის სტატისტიკა


ნაწილი 4. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები

4.1. დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით

2024 წლის მაისის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1537 პირის მიმართ. აქედან გამოსაცდელი ვადის გასვლამდე დანაშაული ჩადენილია 112 პირის მიერ, რაც დევნადაწყებული პირების 7,3%-ს შეადგენს (ცხრილი 3).

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ კრილში ამგვარია (ცხრილი 4):

დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ კრილში
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ დევნის დაწყების მაჩვენებელში)




4.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით¹

2024 წლის მაისის თვეში დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა (ცხრილი 5):

¹ გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთა ჯამი ხშირად აღემატება დევნის დაწყების საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: პირმა ჩაიდინა ორი ან მეტი დანაშაული) დევნის დაწყების მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილების გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა ასევე აღიქმება დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის საერთო მაჩვენებელს.


დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):

დევნის დაწყების მაჩვენებელი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2024 წლის მაისი)



დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126¹):

დევნის დაწყების მაჩვენებელი ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2024 წლის მაისი)




ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა (სსკ-ის მუხლები: 127-136):

დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე (განსაცდელში მიტოვება).


დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):

დევნის დაწყების მაჩვენებელი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებზე (2024 წლის მაისი)




დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):

დევნის დაწყების მაჩვენებელი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)




დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189¹):

დევნის დაწყების მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2024 წლის მაისი)




დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 190-207¹):

დევნის დაწყების მაჩვენებელი სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2024 წლის მაისი)



დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში (სსკ მუხლები 208-213):

დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულებზე ფულად-საკრედიტო სისტემაში (2024 წლის მაისი)




დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში (სსკ მუხლები 214- 219):

დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულებზე საფინანსო საქმიანობის სფეროში (2024 წლის მაისი)




დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 220-221):

დევნის დაწყების მაჩვენებელი სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2024 წლის მაისი)



დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239¹):

დევნის დაწყების მაჩვენებელი საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2024 წლის მაისი)



სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):

დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ სსკ-ის 240-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა).

დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 246-259):

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ სსკ-ის 259-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა).

ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):

დევნის დაწყების მაჩვენებელი ნარკოტიკულ დანაშაულებზე (2024 წლის მაისი)




სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):

დევნა დაიწყო 34 პირის მიმართ სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა).


კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):

დევნის დაწყების მაჩვენებელი კომპიუტერულ დანაშაულზე (2024 წლის მაისი)



დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 287-306):

დევნის დაწყების მაჩვენებელი გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე (2024 წლის მაისი)



ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა (სსკ მუხლები 322¹-322²):


დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ სსკ-ის 322¹ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა).

სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342¹):

დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ სსკ-ის 339-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ქრთამის მიცემა).


დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):

დევნის დაწყების მაჩვენებელი მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2024 წლის მაისი)




დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 364-367¹):

**დევნის დაწყების მაჩვენებელი სასამართლო ორგანოების საქმიანობის
წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)**



დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 368-373):

**დევნის დაწყების მაჩვენებელი მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის
წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)**




დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება (სსკ მუხლები 374-376):

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (დანაშაულის შეუტყობინებლობა).

დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381²):

**დევნის დაწყების მაჩვენებელი სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ
მიმართულ დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)**




დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 382-396):

**დევნის დაწყების მაჩვენებელი დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)**



4.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით

2024 წლის მაისის თვეში დევნა შეწყდა 9 პირის მიმართ. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი რეგიონულ ჯრილში ამგვარია: (ცხრილი 3; ცხრილი 4).



4.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2024 წლის მაისის თვეში დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 6):

დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126¹):

დევნა შეწყდა 5 პირის მიმართ სსკ-ის 126-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ძალადობა).

დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (მუქარა).

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189¹):

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ
დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)



დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 287-306²):

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის მე-300 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე (თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის უკანონოდ მოპოვება).


დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე (ყალბი დოკუმენტების დამზადება).

ნაწილი 5. დაზარალებული პირები


5.1. დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით 2024 წლის მაისის თვეში სულ დაზარალებულ პირთა რაოდენობამ შეადგინა 1204. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაზარალებული პირები ასე გადანაწილდა (ცხრილი 7):

დაზარალებული პირები ასაკობრივ ჭრილში
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ დაზარალებულ პირთა რაოდენობაში)




დაზარალებული პირები სქესობრივ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 7):

დაზარალებული პირები სქესობრივ ჭრილში
(2024 წლის მაისი)




2024 წლის მაისის თვეში დაზარალებული პირების უმეტესობა საქართველოს მოქალაქეა (ცხრილი 7):



5.2. დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით²

2024 წლის მაისის თვეში დაზარალებული პირები სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა (ცხრილი 8):


დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):



² გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილ დაზარალებულ პირთა ჯამი ხშირად აღემატება დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: თუ დაზარალებულის მიმართ ჩადენილ იქნა ორი ან მეტი დანაშაული) დაზარალებული პირის მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილების გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა შესაძლოა აღქმულ იქნას დამოუკიდებელ დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს.


დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126¹):

დაზარალებული პირები ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)




დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):

დაზარალებული პირები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)




დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):

**დაზარალებული პირები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების
წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)**




დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189¹):

დაზარალებული პირები საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)



დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239¹):

დაზარალებული პირების საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის
წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)



სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):


დაზარალდა 2 პირი სსკ-ის 240-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა).

სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):

დაზარალდა 87 პირი სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა).

კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):

**დაზარალებული პირები კომპიუტერულ დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)**




დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 287-306²):

დაზარალდა 1 პირი სსკ-ის 303-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა).


სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342¹):

**დაზარალებული პირები სამოხელეო დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)**




დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):

დაზარალებული პირები მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2024 წლის მაისი)




დანაშაული სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 364-367¹):

დაზარალებული პირები სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2024 წლის მაისი)




დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 368-373):

დაზარალებული პირები მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)



დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381²):

დაზარალებული პირების სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)



დანაშაული დაქვემდებარების წესისა და სამხედრო ღირსების დაცვის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 382-396):

დაზარალდა 6 პირი სსკ-ის 386-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ურთიერთდაუქვემდებარებელ სამხედრო მოსამსახურეთა შორის დამოკიდებულების წესის დარღვევა).

ნაწილი 6. არასრულწლოვნები

6.1 დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ

2024 წლის მაისის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 45 არასრულწლოვნის მიმართ. აქედან 3 პირმა დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის გასვლამდე (6,7%). (ცხრილი 3).

არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):




6.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით³

2024 წლის მაისის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი კონკრეტული დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 5):

³ გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთა ჯამი ხშირად აღემატება დევნის დაწყების საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: პირმა ჩაიდინა ორი ან მეტი დანაშაული) დევნის დაწყების მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილების გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა ასევე აღიქმება დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის საერთო მაჩვენებელს.


დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126¹):

დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ ჯანმრთელობის
წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)




დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):

დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ ადამიანის
უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)




დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189¹):

დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ საკუთრების
წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)



დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239¹):

**დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ
საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ
დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)**



ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):

დევნა დაიწყო 1 არასრულწლოვნის მიმართ სსკ-ის 260-ე მუხლზე (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება).

კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):

დევნა დაიწყო 2 არასრულწლოვნის მიმართ სსკ-ის 286¹ მუხლზე (კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით).

დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):

**დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ
მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2024 წლის მაისი)**



6.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ

2024 წლის მაისის თვეში დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვნის მიმართ არ დაფიქსირებულა. (ცხრილი 3, ცხრილი 4).

6.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით


2024 წლის მაისის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით არ დაფიქსირებულა. (ცხრილი 6).

6.5. დაზარალებული არასრულწლოვნები⁴

2024 წლის მაისის თვეში სულ დაზარალდა 108 არასრულწლოვანი. დაზარალებული არასრულწლოვნები დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 8):

დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126¹):


დაზარალებული არასრულწლოვნები ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2024 წლის მაისი)



⁴ გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილ დაზარალებულ პირთა ჯამი ხშირად აღემატება არასრულწლოვან დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: თუ არასრულწლოვანი დაზარალებულის მიმართ ჩადენილ იქნა ორი ან მეტი დანაშაული) დაზარალებული პირის მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილებისას გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა შესაძლოა აღქმულ იქნას დამოუკიდებელ დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის არასრულწლოვან დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს.


დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):

დაზარალებული არასრულწლოვნები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2024 წლის მაისი)



დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):

დაზარალებული არასრულწლოვნები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2024 წლის მაისი)



დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189¹):

დაზარალებული არასრულწლოვნები საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (2024 წლის მაისი)



დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239¹):

დაზარალდა 2 არასრულწლოვანი სსკ-ის 239-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ხულიგნობა).

სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):

დაზარალდა 7 არასრულწლოვანი სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა).

დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):

დაზარალდა 1 არასრულწლოვანი სსკ-ის 360-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (თვითნებობა).

დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381²):


დაზარალდა 1 არასრულწლოვანი სსკ-ის 381¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა).

თავი III. სასამართლო სტატისტიკა

ნაწილი 7 - სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები

2024 წლის მაისში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულია საგამოძიებო ორგანოებიდან აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებაზე შემოსული 1337 შუამდგომლობა. განხილული შუამდგომლობებიდან დაპატიმრების ხვედრითი წილი შეადგენს 35,2%-ს, გირაოს ხვედრითი წილი - 64,6%-ს, არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემა - 0,1%-ს, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ - 0,1%-ს. (იხ. დანართი ცხრილი №9).




სულ განხილული შუამდგომლობებიდან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 646 შუამდგომლობა, ანუ 48,3%. მათ შორის: დაპატიმრების შეფარდებაზე განხილული შუამდგომლობებიდან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 67,3%, გირაოს შეფარდებაზე დაკმაყოფილებულ იქნა 38,0%.

დატოვებულია განუხილველად საპროცესო შეთანხმების დამტკიცების გამო საგამომიებო ორგანოებიდან 536 შუამდგომლობა, ანუ 40,1%.


საგამომიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობებიდან უარი ეთქვა მოცემული შუამდგომლობის შეფარდებაზე და შეეფარდა სხვა აღკვეთის ღონისძიება, ან უარი ეთქვა შეფარდებაზე 155 შუამდგომლობას, ანუ 11,6%-ს;

შუამდგომლობების განხილვის შედეგი



2024 წლის მაისში სულ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებებიდან დაპატიმრებაზე მოდის 40,3% (317), გირაოზე - 58,5% (460), არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემაზე - 0,4% (3), გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმებაზე - 0,6% (5), პირად თავდებობაზე - 0,1% (1).

შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები



2024 წლის მაისში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ შეფარდებული 786 აღკვეთის ღონისძიებიდან საპატიმრო იყო 317, ანუ 40,3%, ხოლო არასაპატიმრო - 469, ანუ 59,7%. არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებში შეფარდებული გირაოს ხვედრითმა წილმა შეადგინა 98,1%.


ნაწილი 8 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები

8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა

2024 წლის მაისში პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილულია 1203 საქმე 1353 პირის მიმართ, აქედან განაჩენის გამოტანით განხილულია 1166 საქმე, ანუ 96,9%, შეწყდა 24 საქმე 2,0%, დაუბრუნდა პროკურატურას 13 საქმე, ანუ 1,1% (იხ. დანართი ცხრილი №10).

2024 წლის მაისში განაჩენის გამოტანით განხილული საქმეებიდან საპროცესო შეთანხმებით განხილული იყო 841 საქმე (სულ განხილული საქმეების 72,1%) 945 პირის მიმართ (სულ განხილული პირების 71,8%), არსებითი განხილვით დამთავრდა 325 საქმე (შესაბამისად 27,9%) 371 პირის მიმართ (28,2%).

პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითად და საპროცესო შეთანხმებით
განხილული საქმეების ხვედრითი წილი განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეებში



8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები

2024 წლის მაისში პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითი განხილვით დამთავრებული 325 საქმიდან გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 261 საქმეზე, გამამართლებელი განაჩენი - 46 საქმეზე, ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი 18 საქმეზე (იხ. დანართი ცხრილი №11).

2024 წლის მაისში სულ არსებითი განხილვით მსჯავრდებული, გამართლებული და შეწყვეტილი 395 პირიდან გამართლებულ პირთა ხვედრითი წილი შეადგენს 12,4%-ს, ნაწილობრივ გამართლებული პირების ხვედრითი წილი - 4,6%-ს, ხოლო იმ პირების ხვედრითი წილი, რომელთა მიმართ საქმე შეწყდა შეადგენს 6,1%-ს (იხ. დანართი ცხრილი №12)

8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები

2024 წლის მაისში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ არსებითი განხილვის გარეშე შემოსული იყო 542 სისხლის სამართლის საქმე 591 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით განაჩენი გამოტანილ იქნა 841 საქმეზე 945 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით გამოტანილ განაჩენებში არსებითი განხილვით შემოსული საქმეების ხვედრითი წილი შეადგენს 35,3% (იხ. დანართი ცხრილი №13).


ნაწილი 9 - მსჯავრდებულები

9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით

2024 წლის მაისში სულ მსჯავრდებული 1266 პირიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 329 პირს, ანუ 26,0%-ს;
- პირობითი მსჯავრი შეეფარდა 590 პირს, ანუ 46,6%-ს;
- ჯარიმა შეეფარდა 264 პირს, ანუ 20,9%-ს;
- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - 70 პირის, ანუ 5,5%.

მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით




2024 წლის მაისში სულ მსჯავრდებული 1266 პირიდან მამაკაცი შეადგენდა 93,0%-ს, ხოლო ქალი 7,0%-ს. ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 10,5%-ს. სოფლად ჩადენილი დანაშაული შეადგენს 19,0%-ს. სულ მსჯავრდებული პირებიდან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე იყო 4,5% (იხ. დანართი ცხრილი №14).

ასაკის მიხედვით მსჯავრდებულები ნაწილდება შემდეგნაირად:


- 14-17 წლის ასაკის მსჯავრდებულია 28 პირი, რაც შეადგენს 2,2%-ს,
- 18-24 წლის ასაკის 175 პირი, ანუ 13,8%,
- 25-29 წლის ასაკის 160 პირი, ანუ 12,6%,
- 30-49 წლის ასაკის 653 პირი, ანუ 51,6%,
- 50 წლის ზევით ასაკის - 250 პირი, ანუ 19,7%.

მსჯავრდებულთა განაწილება ასაკის მიხედვით



მსჯავრდებულთა შორის არასრული საშუალო განათლების მქონეა 43 პირი, ანუ 3,4%, საშუალო განათლების მქონეა 1075 პირი, ანუ 84,9%, უმაღლესი განათლების მქონეა 145 პირი, ანუ 11,5%.


მსჯავრდებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით



1266 მსჯავრდებული პირიდან:

- უმუშევარია 969, ანუ 76,5%
- კომერციული ან სხვა ორგანიზაციის მომუშავე 35, ანუ 2,8%
- სხვა მომუშავეა 218, ანუ 17,2%
- კერძო მეწარმეა 5, ანუ 0,4%
- მოსწავლე ან სტუდენტია 21, ანუ 1,7%
- საჯარო მოსამსახურეა 3, ანუ 0,2% და სხვა.

მსჯავრდებულთა გადანაწილება საქმიანობის მიხედვით
(პროცენტობით)



მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონეა მსჯავრდებულთა 15,2%.


9.2 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

2024 წლის მაისში მსჯავრდებული იყო 28 არასრულწლოვანი, რაც შეადგენს მაისში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ მსჯავრდებულ პირების 2,2%-ს.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულებიდან ვაჟი იყო 27, ანუ 96,4%. არ მუშაობდა და არ სწავლობდა 9 არასრულწლოვანი, ანუ სულ მსჯავრდებული არასრულწლოვნების 32,1% (იხ. დანართი ცხრილი №15).

2024 წლის მაისში სულ მსჯავრდებული 28 არასრულწლოვნიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 7 პირს, ანუ 25,0%-ს, პირობითი მსჯავრი - 16 პირს, ანუ 57,1%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - 1 პირს, ანუ 3,6%-ს, შინაპატიმრობა - 4 პირს, ანუ 14,3%-ს,

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელების მიხედვით



მსჯავრდებული 28 არასრულწლოვანი პირი დანაშაულის სახეების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

- ქურდობისათვის მსჯავრი დაედო 16 პირს, ანუ 57,1%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 2 პირს, ანუ 12,5%-ს;
- ძარცვისთვის მსჯავრი დაედო 4 პირს, ანუ 14,3%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 4 პირს, ანუ 100,0%-ს;
- თაღლითობისთვის მსჯავრი დაედო 1 პირს, ანუ 3,6%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა არ შეეფარდა არც ერთ პირს;
- ნარკომანიასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის მსჯავრი დაედო 2 პირს, ანუ 7,1%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა არ შეეფარდა არც ერთ პირს და სხვა (იხ. დანართი ცხრილი №17).

რეგიონების მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ნაწილდებიან შემდეგნაირად:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იქნა 19 არასრულწლოვანი, ანუ 67,9%;
- კახეთისა და აჭარის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 3-3 არასრულწლოვანი, ანუ 10,7%;
- იმერეთის, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა თითო-თითო არასრულწლოვანი, ანუ 3,6%; (იხ. დანართი ცხრილი №18).


ნაწილი 10 - დანაშაული და შეფარდებული სასჯელები

10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით

2024 წლის მაისში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილულ იქნა 1166 საქმე 1316 პირის მიმართ. მსჯავრდებული 1266 (49 პირის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, 1 პირის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად) პირის მიერ ჩადენილი იყო 1845 დანაშაული, ხოლო დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნულ იქნა 2009 სასჯელი (იხ. დანართი ცხრილი №19).

საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილ დანაშაულში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის: საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე - 28,2% (520), ნარკოტიკულ დანაშაულზე - 14,6% (270), ჯანმრთელობის წინააღმდეგ დანაშაულზე - 16,6% (306), დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ - 11,8% (218), მმართველობის წესის წინააღმდეგ დანაშაულზე - 8,2% (151), დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ - 5,3% (97) და სხვა.


მსჯავრებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების სტრუქტურა
(პროცენტობით)



2024 წლის მაისში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული 2009 სასჯელიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეადგენს 32,1%-ს (644);
- პირობითი მსჯავრი 42,4%-ს (852);
- ჯარიმა 18,8%-ს (378);
- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 5,5%-ს (110);
- შინაპატიმრობა 0,6%-ს (13).


დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელების სტრუქტურა




10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

2024 წლის მაისში პირველი ინსტანციის სასამართლოებში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის შეფარდებული სასჯელებიდან 888, ანუ 44,2% მოდის თბილისის საქალაქო სასამართლოზე, აჭარის სასამართლოებზე - 228, ანუ 11,3%, იმერეთის სასამართლოებზე - 190, ანუ 9,5%, შიდა ქართლის სასამართლოებზე - 157, ანუ 7,8%, ქვემო ქართლის სასამართლოებზე - 156 ანუ 7,8%, კახეთის სასამართლოებზე - 111, ანუ 5,5% და სხვა (იხ. დანართი ცხრილი №21).

ჩადენილი დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების განაწილება რეგიონების მიხედვით



**ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების
სტრუქტურა რეგიონალურ ჯრილში (პროცენტობით)**



თითოეული დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელის ღონისძიებებში თავისუფლების აღკვეთის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: კახეთზე - 45,9%, მცხეთაზე - 40,4%, თბილისზე - 39,5%, ქვემო ქართლზე - 26,9%, აჭარაზე - 25,9% და ა.შ.

პირობითი მსჯავრის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: სამეგრელოზე - 62,8%, რაჭაზე - 60,0%, შიდა ქართლზე - 59,2%, იმერეთზე - 53,2%, გურიაზე - 51,5% და ა.შ.

ჯარიმის მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა: აჭარა - 36,0%, სამცხე-ჯავახეთი - 26,2%, იმერეთი - 23,7%, ქვემო ქართლი - 21,8%, რაჭა - 20,0%, შიდა ქართლი - 18,5% და სხვა.

თავი IV. პენიტენციური სისტემის სტატისტიკა¹

ნაწილი 11 - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახური

11.1 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შედარება

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან სქესობრივ ჭრილში

2024 წლის 31 მაისის მდგომარეობით, პენიტენციური დეპარტამენტის დაწესებულებებში განთავსებული იყო სულ 10 241 პირი, მათ შორის 9 851 კაცი და 390 ქალი.


სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის სტატისტიკის სამმართველოში ყოველთვიურად ხდება ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პროცენტული შედარება, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2024 წლის პირველი იანვრის მონაცემებით დაფიქსირებულ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან. ქვეყნის მოსახლეობის აღნიშნულ რაოდენობასთან, მ/წლის 31 მაისის პენიტენციური დეპარტამენტის მონაცემების შედარების შედეგად, ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რიცხვა (10 241) ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის (3 694 608) 0.28%-ს შეადგენს. მამრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (9 851) ქვეყნის მამრობითი სქესის მოსახლეობის (1 774 469) 0.56%-ს, ხოლო მდედრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (390) ქვეყნის მდედრობითი სქესის მოსახლეობის (1 920 139) 0.02%-ს შეადგენს (იხ. დანართი, ცხრილი №22).

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში

2024 წლის მაისის თვეში, სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ყველაზე მეტი ხვედრითი წილი სრულწლოვან კაცებზე მოდიოდა (9 788). ქვემოთ მოცემულია ყველა დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ამსახველი დიაგრამები, სადაც უფრო დეტალურად არის ნაჩვენები სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების პროცენტული წილის ურთიერთმიმართება (იხ. დანართი, ცხრილი №23, №24, №25):


¹ ანგარიში მომზადებულია 2024 წლის 31 მაისის მდგომარეობით არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

ბრალდებულები და მსჯავრდებულები ასაკობრივ ჯგუფში



როგორც მოცემული დიაგრამიდან ჩანს, 41-49 წლამდე ასაკის ბრალდებულები და მსჯავრდებულები საერთო რაოდენობის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებლით ხასიათდებიან.


ბრალდებულები და მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფში




ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ასაკობრივი კატეგორიები

2024 წლის მაისის ბოლოს, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული იყო სულ 10 241 პირი (მათ შორის: ბრალდებული - 1 873; მსჯავრდებული - 8 368). მათი კლასიფიცირება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შემდეგ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №27):


ბრალდებულთა ასაკობრივი კატეგორიები



მსჯავრდებულთა
ასაკობრივი კატეგორიები




ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა
ასაკობრივი კატეგორიები (საერთო)



ბრალდებულები და მსჯავრდებულები პენიტენციურ დაწესებულებებში

